ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ. ჩოხატაური წერეთლის ქ. №2 ☎ 790 20-33-05

24 სექტემბერი 2014 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №82

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის და მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ”- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 იანვრის N4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[1] მუხლის თანახმად

საკრებულომ დაადგინა:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის და მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ”-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 იანვრის N4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.

2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის და მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ”- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 იანვრის N4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2] მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ზაალ მამალაძე

პროექტი

დადგენილება

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის და მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ”-

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 იანვრის N4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N19 დადგენილების შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს, ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის და მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ”-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 იანვრის N4 დადგენილებაში შეტანილ იქნას ცვლილება:

მუხლი 1.

დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის შესახებ“.

მუხლი 2.

დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: „საქართველოს ორგანული კანონის- „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ,,ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე“ - საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს #726 ბრძანებულების თანახმად“

მუხლი 3.

დადგენილებით დამტკიცებული დანართი 1 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.(თან ერთვის)

მუხლი 4.

დადგენილებიდან ამოღებული იქნას მე-3 მუხლი.

მუხლი 5.

დადგენილებიდან ამოღებული იქნას მე-5 მუხლი.

მუხლი 6.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2014 წლის 1 აგვისტოდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

პროექტის ავტორი: ნინო ვაჩეიშვილი

დანართი 1

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეების თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები

№	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგო
1	2	3
1	გამგებელი	2650
2	გამგებლის პირველი მოადგილე	1300
3	გამგებლის მოადგილე	1300
4	სამსახურის უფროსი	1000
5	განყოფილების უფროსი	810
5	გამგებლის თანაშემწე	790
6	გამგებლის წარმომადგენელი	810
7	სპეციალისტი	560
8	მდივან- რეფერენტი	560